

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში (გაზეთი „აჭარა“, №251, 22.12.2004) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიულ აქტებზე, სრული სახით გამოსასული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი.“.
2. 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. მთავრობის თავმჯდომარე 10 დღის ვადაში ხელს აწერს კანონპროექტს და აქვეყნებს კანონს ან შენიშვნებით უბრუნებს უმაღლეს საბჭოს.“.
3. 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტი ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-10 დღეს, თუ თვით ამ საკანონმდებლო აქტით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი.“.

მუხლი 2. ეს კანონი გარდა პირველი პუნქტისა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, კანონის პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2009 წლის 1 იანვრიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

ლევან ვარშალომიძე

ბათუმი,

2008 წლის __ აგვისტო

№